

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
აკადემიური სამსახური

თბილისი

1 სექტემბერი, 2009

სხდომა №5
სხდომის ოქმი №5/2009

სხდომას ეწვევებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე,
2. პროფესორი კახი ყურაშვილი,
3. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე,
4. პროფესორი მაკა სალხინაშვილი
5. პროფესორი მურმან ცარციძე,
6. პროფესორი ნინო ორმოცაძე,
7. ასოცირებული პროფესორი მარინა ზორანიანი,
8. ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე.

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. თქუ დებულების სტრუქტურაში ცვლილების შეტანის თაობაზე (მომხ. პროფ. ო. ეჯიბაძე);
2. თქუ-ში აკადემიური შეფასების სისტემის ცვლილების თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
3. თქუ ხარისხის მართვის სამსახურის თანამდებობაზე, ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურათა თქუ წარმომადგენლობითი სამჭოსათვის წარდგენის თაობაზე (მომხ. კ. ყურაშვილი);
4. თქუ აკადემიური სამჭოს, თქუ წარმომადგენლობითი სამჭოს (სენატის), თქუ ფაკულტეტის სამჭოების ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშნის თაობაზე (მომხ. კ. ყურაშვილი)

პირველ საკითხზე მოისმინეს:

პროფესორ ოლეგ ეჯიბაძის ინფორმაცია, რომელმაც აკადემიური სამჭოს წინაშე დასვა საკითხი, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სახელწოდებაში ცვლილების შეტანისა და ფაკულტეტის სახელწოდებად ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის განსაზღვრა. ამავე ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ოლეგ ეჯიბაძემ, აღნიშნული ცვლილება დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ ფაკულტეტის ფარგლებში რეალიზებულია ისეთი სამაგისტრო პროგრამები, რომელთა შინაარსიცა და მიმართულებაც განაპირობებს, ფაკულტეტის სახელწოდებაში, ეკონომიკის მიმართულებაზე შესაბამისი მინიშნების არსებობას.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა კახი ყურაშვილმა, პროფესორმა მურმან ცარციძემ

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის წინადადება, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის დებულებით დამტკიცებულ თქუ-ს სტრუქტურაში ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტს ეწოდოს ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი;



2. წარედგინოს თქუ პარტნიორთა კრებას თქუ დებულუბით დამტკიცებულ სტრუქტურაში შეტანილი ცელილება დასამტკიცებლად.

შორე საკითხზე მოისმინეს.

პროფ. ვ. ყურაშვილის ინფორმაცია თქუ ში სტუდენტთა აკადემიური შეფასების სისტემის მოდიფიცირებისა და შეფასების უწყისის ერთიანი საუნივერსიტეტო ფორმის დამტკიცების თაობაზე; პროფესორმა კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის ჰუმანიტარულმა უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ 2007 წლის 15 სექტემბრის N33/05 ბრძანებით დამტკიცდა ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემაზე დამყარებული შეფასების 100 ქულანი სისტემა, რომელიც ამ ეტაპზე საკიროებს შინაარსობრივ განმარტებასა (ინსტრუქტირებას) და დაზუსტებას. მან წარმოადგინა შეფასების ინსტრუქცია და შეფასების უწყისის ახალი ფორმა დასამტკიცებლად. შეფასების სისტემის აღწერილობა მოიცავს შემდეგ აღწერილობებს:

100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის გაელის შემთხვევაში; კრედიტის მინიკების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვება და ეს პრინციპი საერთოა მთელი უნივერსიტეტისათვის; 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასელის საშუალება კურსის გამეორების გარეშე; 41 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გაიმეოროს კურსი; შეფასების 100 ქულანი სისტემაში ქულების განაწილების სქემა შემდეგნაირია:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი
81-90	ძალიან კარგი
71-80	კარგი
61-70	საშუალო
51-60	დამაკმაყოფილებელი
41-50	არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
0-40	სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის ცავიდან უნდა გაიაროს კურსი

სტუდენტის შეფასება განისაზღვრება მრავალი კომპონენტით, რომელთა შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს ამა თუ იმ საგნის წამყვანი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ფაკულტეტთან შეთანხმებით. ამ კომპონენტებში აუცილებლად უნდა იქნეს ასახული სტუდენტის მუშაობა სემესტრის (აკადემიური წლის) განმავლობაში; სტუდენტის შეფასების განმსაზღვრელი შუალედური კომპონენტების რაოდენობა უნდა იყოს სულ მცირე სამი მაინც. სავალდებულო ფინალური გამოცდის ხვედრითი წილი უნდა იყოს საერთო შეფასების 40% - 40 ქულა; ფაკულტეტის მიერ განისაზღვრება ფინალურ გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მუშაობის აუცილებლობა; ამასთან, ფაკულტეტმა ფინალურ გამოცდაზე დაშვების წინაპირობად უნდა დაადგინოს შუალედური შეფასებების ყველა კომპონენტში ერთობლიობაში, არანაკლებ 21 ქულის და არაუმეტეს 31 ქულის მოგროვების ვალდებულება; ფინალური გამოცდისათვის განსაზღვრული 40 ქულის ფარგლებში, სტუდენტის მიერ სასწავლო დისციპლინაში კრედიტის მოპოვების საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობად და დადებითი შეფასების მისაღებად დადგინდეს სულ ცოტა 21 ქულა (ნახევარზე მეტი); შეფასების კომპონენტების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ფაქტორებს: საგნის სპეციფიკა და მისი ინტელექტუალური ფორმატი (ლექცია, ლექცია+სემინარი, ლექცია+სემინარი+ლაბორატორია/პრაქტიკუმი და ა.შ.); სწავლების საფეხური (ბაკალავრიატი თუ მაგისტრატურა), ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა და სხვ.; როგორც შუალედური შეფასების, ასევე ფინალური გამოცდის ფორმატს განსაზღვრავს საგნის წამყვანი პროფესორი (ან ასოცირებული პროფესორი) უნივერსიტეტმა და ფაკულტეტზე

შემორებული შეფასების ერთიანი სისტემის ფარგლებში, აუცილებლად უნდა დაინერგოს შეფასების წერიტი ფორმა იქ, სადაც საგნის სპეციფიკა ამის საშუალებას იძლევა. ეს ცხადია არ გამორიცხავს ზეპირი შეფასების ფორმის არსებობას (მაგ. უცხო ენის პროგრამები). ნებისმიერ შემთხვევაში ზეპირი შეფასების ხვედრითი წილი არ უნდა წარმოადგენდეს ფინალური შეფასების ნახევარზე მეტს; საუნივერსიტეტო ჩარჩო-მოთხოვნების ფარგლებში ცალკეული საგნებისა თუ მიმართულებების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასების კომპონენტების ხვედრითი წილის განსაზღვრა წარმოადგენს ფაკულტეტების პასუხისმგებლობას; შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილ უნდა იქნას ყოველი კონკრეტული საგნის შესაბამის სილაბუსში ან მითითებული უნდა იყოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის შესაბამის აქტებზე. შეფასების სისტემის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სტუდენტებისათვის შეფასების სქემის გაეცნობა წარმოადგენს საგნის წამყვანი ლექტორის პასუხისმგებლობას.

ამასთან, როგორც პროფესორმა კ. ყურაშვილმა აღნიშნა, ძალაში უნდა დარჩეს თაქ რექტორის 2007 წლის 15 სექტემბრის №33/05 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების რეიტინგული სისტემა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემაზე დამყარებული შეფასების სისტემა შემოთავაზებული მოდიფიკაციით.

პროფესორმა კ. ყურაშვილმა საბჭოს წარმოდგინა მოდიფიცირებული შეფასების უწყისი დასამტკიცებლად.

აზრი გამოთქვებს: პროფესორმა ვალენტინა საყვარელიძემ, პროფესორმა ოლეგ ეჯიბაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ილონა საყვარელიძემ.

გადაწყვეტეს:

1. დამტკიცდეს თაქ აკადემიური შეფასების სისტემის აღწერილობა წარმოდგენილი მოდიფიკაციით (ინსტრუქცია), თაქ-ს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემაზე დამყარებული შეფასების სისტემის ინსტრუქცია, შეფასების რეიტინგული სისტემის შენარჩუნებით;

2. დამტკიცდეს თაქ სტუდენტის შეფასების უწყისი თანდართული ფორმით;

3. ეთხოვოს თაქ რექტორს, საბჭოს ამ გადაწყვეტილების რექტორის ბრძანებაში ასახვა.

მესამე საკითხზე მოისმინეს:

პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, თაქ ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) სამსახურის თანამდებობაზე, ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურათა თაქ წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის თაობაზე. პროფ. კ. ყურაშვილმა აღნიშნა, რომ თაქ დებულებაში "უმალესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად, თაქ ორი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კერძოდ თაქ ხარისხის მართვის (საშტატო განრიგით - ხარისხის უზრუნველყოფის) სამსახურის უფროსი, ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აკადემიური საბჭოს წარგინებით მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. სწორედ ამიტომ, აკადემიურმა საბჭოს უნდა შეარჩიოს სათანადო კანდიდატურები ამ ვაკანტურ თანამდებობებზე და უნდა წარუდგინოს თაქ სენატს. პროფ. კ. ყურაშვილმა შეახსენა აკადემიური საბჭოს წევრებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აუცილებლად აკადემიური თანამდებობის პირი უნდა იყოს. კახი ყურაშვილმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დაასახელა ბატონი ვალერიან მუხიგულაშვილი.

აზრი გამოთქვებს: პროფ. ვალენტინა საყვარელიძემ, რომელმაც ხარისხის უზრუნველყოფის (მართვის) სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაასახელა პროფ. გია თოფურია, აზრი გამოთქვებს აგრეთვე პროფ. მ. ცარციძემ, პროფ. მ. სალხინაშვილმა.



გადაწყვეტის:

1. თქუ ხარისხის უზრუნველყოფის (მართვის) სამსახურის უფროსის თანამდებობაზე თქუ წარმომადგენლობით საბჭოს წარედგინოს პროფესორ გია თოფურიას კანდიდატურა;
2. თქუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (უფროსის) თანამდებობაზე თქუ წარმომადგენლობით საბჭოს წარედგინოს ბატონი ვალერიან მუხიგულაშვილი.

შეოთხე საკითხზე მოისმინეს:

პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომელმაც აკადემიურ საბჭოს მოახსენა, რომ აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 9 წევრით, თუმცა ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორის ქალბატონ ნატალია ბასილიას სამსახურიდან წასვლის გამო ერთი ადგილი ვაკანტურია, რაც საჭიროებს ამავე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან აკადემიური საბჭოს გამოთავისუფლებულ ადგილზე წევრის არჩევას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სრულყოფილად არ არის დაკომპლექტებული არც თქუ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემადგენლობა, რომელიც 18 წევრით განისაზღვრება. საჭიროა არჩევნების დანიშნვა სენატის ვაკანტური ორი ადგილის შესავსებად: ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან 1 ვაკანტური ადგილია აკადემიურ პერსონალისათვისაა თავისუფალი, ხოლო სტუდენტთათვის გამოყოფილი ადგილებიდან 1 ადგილია თავისუფალი ჯანდაცვის ფაკულტეტისთვის განსაზღვრული კვოტიდან.

პროფესორმა კახი ყურაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ თქუ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების დასრულების შემდგომ, ავტომატურ რეჟიმში გადახალისდა ფაკულტეტის საბჭოების შემადგენლობები, აკადემიური საბჭოს N4/2009 გადაწყვეტილების შესაბამისად. თუმცა ფაკულტეტის საბჭოები, სტუდენტთათვის გამოყოფილი ადგილების ნაწილში შესავსება (ჯანდაცვის ფაკულტეტზე სტუდენტთა კონტიგენტის მხოლოდ 2009-2010 სასწავლო წელს მიღების გამო, აგრეთვე ცალკეულ სტუდენტთა მიერ სწავლის დასრულებისა და მათთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან/და შეჩერების გამო). კერძოდ, სამართლის ფაკულტეტზე ვაკანტურია ბაკალავრიატის სტუდენტ მერი შოთაძისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების გამო, გამოთავისუფლებული 1 ადგილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოში ჯანდაცვის ფაკულტეტიდან ასარჩევია 1 სტუდენტი, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოში ზაქარია თოლორაძისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამო, გამოთავისუფლდა 1 ადგილი, ხოლო ჯანდაცვის ფაკულტეტზე ასარჩევია აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში 3 სტუდენტი.

გარდა ზემოაღნიშნული გარემოებისა, გასათვალისწინებელია, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრებად განწესდებიან შესაბამისი ფაკულტეტის ის სტუდენტები (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები), რომლებიც არჩეულნი არიან უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში, იმავე ვადით, რა ვადითაც არიან ისინი თვითმმართველობის წევრები. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში, სტუდენტთა რიცხოვნება არ უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოს სრული შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები; იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის რიცხოვნება ნაკლებია ფაკულტეტის საბჭოში გაწევრიანებული აკადემიური პერსონალის 1/4-სა, ფაკულტეტის სტუდენტები ირჩევენ ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა იმ ოდენობას, რაც საჭიროა ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის სტუდენტური ქვოტის შესავსებად; თქუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს ფორმირებისათვის, ამავე ფაკულტეტზე სტუდენტური კონტიგენტის მიღებამდე ვადით, თქუ სამართლის, ჯანდაცვისა და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტების სტუდენტთა ცალ-ცალკე ირჩევენ თითო წარმომადგენელს, ვინაიდან ჰუმანიტარული ფაკულტეტი უზრუნველყოფს ყველა დანარჩენი ფაკულტეტისათვის ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინების სწავლების პროცესს.

პროფესორმა კახი ყურაშვილმა საბჭოს აცნობა ასევე, რომ თქუ სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადა ამიწურა და არჩევნები დანიშნულია 2009 წლის 3 ოქტომბრისათვის. სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით, თვითმმართველობაში აირჩევა 12 სტუდენტი 2 წლის ვადით (სამართლის ფაკულტეტიდან - 5 წევრი, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტიდან - 4, ჯანდაცვის ფაკულტეტიდან - 3).



შესაბამისად, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევისთანავე, ავტომატურად განახლდება სამართლის ფაკულტეტის, ეკონომიკის, ზიზნესისა და მართვის ფაკულტეტის, ასევე ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოების შემადგენლობები. ამასთან, ეკონომიკის, ზიზნესისა და მართვის ფაკულტეტიდან სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული მე-4 წევრი შეიძლება წარდგენილ იქნას თავად სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოში. ამდენად, დამატებით ასარჩევი იქნება ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში 1 სტუდენტი ჯანდაცვის ფაკულტეტიდან, ხოლო მეორე სტუდენტი - სამართლის ფაკულტეტიდან. სწორედ ამ ორი სტუდენტის არჩევნებია დასანიშნი.


აზრი გამოთქვას: პროფ. მ. სალხინაშვილმა, პროფ. ო. ეჯიბაძემ, პროფ. ვ. საყვარელიძემ და პროფ. ნ. ორმოცაძემ.

გადაწყვიტეს:

1. თპუ აკადემიური საბჭოს ერთი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად (ჰუმანიტარული ფაკულტეტი) არჩევნები დაინიშნოს 2009 წლის 3 ოქტომბერს 12.00 საათზე;
2. თპუ წარმომადგენლობითი საბჭოს ჰუმანიტარული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვოტიდან 1 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად არჩევნები დაინიშნოს 2009 წლის 3 ოქტომბერს 12.00 საათზე;
3. თპუ წარმომადგენლობითი საბჭოს ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტური კვოტიდან 1 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად არჩევნები დაინიშნოს 2009 წლის 3 ოქტომბერს 12 საათზე;
4. თპუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთათვის განსაზღვრულ არსებულ ორ ვაკანტურ ადგილზე (თითო ადგილი ჯანდაცვისა და სამართლის ფაკულტეტებისათვის) არჩევნები დაინიშნოს 2009 წლის 3 ოქტომბერს 12 საათზე;
5. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევის შემდეგ, თვითმმართველობაში გაწევრიანებული სტუდენტებით დაკომპლექტდეს ფაკულტეტის საბჭოების სტუდენტური კვოტები;
6. შეიქმნას საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) ალლა მეტრეველი,
 - ბ) ქეთი ზაქაძე,
 - გ) ნინო ფრუიძე.
6. საკონკურსო კომისია შეიკრიბოს 2009 წლის 16 სექტემბერს.
7. აკადემიური საბჭოს ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს.

თპუ აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე:

თპუ აკადემიური საბჭოს
მდივანი:



ვ. საყვარელიძე

კ. ყურაშვილი